გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი, რუკაზე მუშაობა
თემა: ჩრდილოეთი ამერიკა

გაეცანით ინფორმაციას, დაადგინეთ გეოგრაფიული ობიექტები, შეავსეთ ცხრილი და აღნიშნეთ ეს გეოგრაფიული ობიექტები რუკაზე.

ტურისტები სამოგზაუროდ ჩრდილეოთ ამერიკაში აპირებენ გამგზავრებას და მათ მოსანახულებელი საინტერესო ადგილების სია შეადგინეს (იხ სია N1).

სია N 1 - მოსანახულებელი საინტერესო ადგილები:

ობიექტი	ობიექტის სახელი	ობიექტის ფოტო
ა	კანადის ფარის გრანიტები	
ბ	აპალაჩები	

მასალა მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
© საავტორო უფლება დაცულია

გ	შერეული ტყეები დიდი ტბების რაიონში	
დ	კალიფორნია	
ე	იელოუსტოუნის ვულკანური პლატო	

© საავტორო უფლება დაცულია

3	არიზონა	

თითოეულ ამ ტერიტორიაზე ასევე შესაძლებელია რომელიმე რეკორდსმენი გეოგრაფიული ობიექტის მონახულებაც.
ტურისტებმა ამ რეკორდსმენი გეოგრაფიული ობიექტების სიაც შეადგინეს, მაგრამ მასში გარკვეული უზუსტობებია დაშვებული. (იხ სია N2)

სია N2 - რეკორდსმენი გეოგრაფიული ობიექტები:

1. დედამიწის ყველაზე მაღალი ჩანჩქერი
2. ჩვენიპლანეტის ყველაზე დიდი კანიონი.
3. დასავლეთ ნახევარსფეროს ყველაზე მაღალი წერტილი.
4. გეიზერების თავმოყრის ყველაზე მსხვილი რეგიონი, მათ შორის დედამიწის ყველაზე დიდი გეიზერიც.
5. მსოფლიოში ყველაზე გრძელი კარსტული მღვიმეების სისტემა.
6. მსოფლიოში ფართობით ყველაზე დიდი მტკნარწყლიანი ტბა.
7. დედამიწის ყველაზე წყალუხვი მდინარე.
8. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სიცივის პოლუსი.
9. ადგილი, სადაცდედამიწაზე ყველაზე მაღალი ტემპერატურა იქნა დაფიქსირებული (თუ არ ჩავთვლით ელ-აზიზიას (ლიბია) რეკორდს).
10. დედამიწაზე ფართობით ყველაზე დიდი კუნძული.

დავალება:

1. N2 სიიდან ამოირჩიე 6 მტკიცებულება და შეავსე სწორი მტკიცებულებების ცხრილი: ჩაწერე სწორი მტკიცებულების ნომერი, რეკორდსმენი ობიექტის

© საავტორო უფლება დაცულია

სახელი, რომელზეც საუბარია ამ მტკიცებულებაში და ამ ობიექტის მდებარეობის შესაბამისი საინტერესო ადგილი N1 სიიდან.

ცხრილი: სწორი მტკიცებულებები

სწორი მტკიცებულების ნომერი	რეკორდსმენი ობიექტის სახელი	ამ ობიექტის მდებარეობის შესაბამისი საინტერესო ადგილი N1 სიიდან.

2. შეასწორე 4 არასწორი მტკიცებულება, არასწორი მტკიცებულებების ცხრილში დაწერე ამ მტკიცებულების ნომერი, რეკორდსმენი ობიექტის სახელი და ამ ობიექტის მდებარეობის ადგილი.

ცხრილი: არასწორი მტკიცებულებები

არასწორი მტკიცებულების N	რეკორდსმენი ობიექტის სახელი	ამ ობიექტის მდებარეობის ადგილი

მასალა მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
© საავტორო უფლება დაცულია

3. აღნიშნე მსოფლიოს კონტურულ ან ინტერნეტპროგრამა https://mapmakerclassic.nationalgeographic.org/ ინტერაქტიურ რუკაზე სწორედ შერჩეული რეკორდსმენი გეოგრაფიული ობიექტები:

© საავტორო უფლება დაცულია